

ჰენდაუთი 6.1ა: მსმენელებს შორის მედეგობის განვითარების შესაძლებლობა „სხეულის რუქის“ დახმარებით

განათლება უფრო მეტია, ვიდრე მსმენელების მიმართ უბრალოდ ცოდნის გადაცემა. საგანმანათლებლო ინიციატივები ეხმარება ბავშვებს, ახალგაზრდებს და აგრეთვე მოზრდილებს საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაში, როგორც საკუთარი თავის, ასევე საზოგადოების შესახებ ჩამოყალიბებული დამოკიდებულების და შეხედულებების შეცვლაში და, საჭიროების შემთხვევაში, აუცილებელ რესურსებთან წვდომაში.

იმ საგანმანათლებლო ინიციატივების ფარგლებში, რომლებიც ხელს უწყობს ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართ მედეგობის განვითარებას, დასაშვებია ყველა ამ შესაძლებლობის გამოყენება ადამიანების მოწყვლადობის აღმოსაფხვრელად. ამ სავარჯიშოში ჩვენ განვიხილავთ იმ უნარებსა და შესაძლებლობებს, რომელთა განვითარებაც გვსურს მედეგ მსმენელებში. მომდევნო გვერდზე წარმოდგენილია „სხეულის რუქა“.¹ შეავსეთ „სხეულის რუქა“ შემდეგ შეკითხვებზე პასუხის გაცემის გზით:

თავი: რა ცოდნა ან უნარები უნდა გამოიმუშაონ მსმენელებმა?

თვალეები: როგორ უნდა შეცვალონ მსმენელებმა საკუთარი თავის, სხვა ადამიანების და, ზოგადად, საზოგადოების აღქმა?

ყურები: როგორ უნდა მოუსმინონ მსმენელებმა სხვა ადამიანებს? რა უნდა მოისმინონ მათ საზოგადოების სხვა წევრებისგან?

პირი: რომელი კომუნიკაციის უნარები უნდა გამოიმუშაონ მსმენელებმა?

მხრები: რომელი პასუხისმგებლობები უნდა აიღონ მსმენელებმა საზოგადოებაში მათ როლთან დაკავშირებით? რომელ სფეროში გვსურს მსმენელების მიერ ლიდერობის გამოვლენა?

გული: როგორ უნდა აღიქვან მსმენელებმა საკუთარი თავი მათი განათლების გამო? რა ემოციებს უნდა გაუმკლავდნენ ისინი სათანადო გზით, თავიანთი განათლების დახმარებით?

ხელები: რომელ ღონისძიებებთან უნდა ჰქონდეთ წვდომა მსმენელებს იმისათვის, რომ გამოავლინონ კიდევ უფრო მეტი მედეგობა ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართ? რომელ ღონისძიებაში ვისურვებდით მსმენელების ჩართვას?

ფეხები: რომელი ადგილები უნდა მოინახულონ მსმენელებმა? საზოგადოებაში არსებული რომელი ინსტიტუტების რესურსების გამოყენება უნდა შეეძლოთ მათ (და არ შეეშინდეთ ამის გაკეთება), საჭიროების შემთხვევაში?

¹ ადაპტირებულია მაიკლ მაკგილის და კლერ ოკეინის ნაშრომიდან, “Evaluation of Child and Youth Participation in Peacebuilding” (Global Partnership for Children and Youth in Peacebuilding, ივლისი, 2015 წ.).

მსმენელებს შორის მედეგობის განვითარების შესაძლებლობა „სხეულის რუქის“ დახმარებით (გაგრძელება)

მიუთითეთ ის ცვლილებები, რომელთა დანახვასაც ისურვებდით მსმენელებში საგანმანათლებლო ინიციატივების განხორციელების შედეგად და რომლებიც მათ კიდევ უფრო მედეგს გახდიდა ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართ? ჩამოწერეთ მიზნები ქვემოთ გამოყოფილ სივრცეებში:

თავი: (ცოდნა)

თვალეები: (აღქმები)

ყურები: (მოსმენის უნარი)

პირი: (კომუნიკაციის უნარი)

მხრები: (პასუხისმგებლობა/ლიდერობა)

გული: (გრძნობები/ემოციები)

ხელები: (ღონისძიებები/ჩართულობა)

ფეხები: (ადგილები/საზოგადოებრივი ინსტიტუციები)

